# სახალხო გაზეთი

№ 1150 პარასკევი, 28 მარტი 1914 წ. № 1150

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედონი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

**რედაქცია და კანტორა იმყოფება:** ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

**გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის
,,სახალხო გაზეთზე''
(სურათებიანი დამატებით)
წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ:
1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.
წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.
მისამართის გამოცვლა 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ.
ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.
მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" П. Ящ. 190

უკვე დაიბეჭდა და დაურიგდა ყველა წიგნის მაღაზიას გასასყიდად
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებათა
მეხუთე ტომი
ფასი ერთი მანეთი.

სანატორიუმი
,,რუსული დავოსი'',
აბასთუმანში.
ჭლექიანებისა, სისხლ-ნაკლებთა, დაქანცულთა და ფილტვების სნეულებით ახლად დაავადებულთათვის. საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მერძეობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მივლით და სხვა თვეში 150-250 მ. ✦ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სანატორიუმის დირექტორს ექიმს გ. მეგრაბიანცს, 1 მაისამდე ქ. ტფილისში, შებუთოვის ქ., № 23. 1 მაისის შემდეგ—აბასთუმანში. ზღვის ზედაპირიდან 1273 მეტ. ტფ. გუბ.
ტელეფონი № 7—92. 1087

ვაგზლის სამკურნალოში
(მიხაილოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)
მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.
**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.
**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე.
**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.
**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.
**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.
**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.
**ვაჩაძე**—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.
ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.
რჩევის საფასური—50 კაპ.
წამლობა ,,914''. 1023

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი სალიტერატურო-სამეცნიერო კრებული

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით, პ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.

ფასი 1 მანეთი.

საერო ტელეფონი № 720. საერო
კახური ღვინოები
საერო-ს
ამხანაგობისა
იყიდება
კავკასიის ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებაში და ყველა საუკეთესო საბაკალეო და გასტრონომიულ მაღაზიებში.
კანტორა და მთავარი საწყობი ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში.
საერო ტელეფონი № 720. საერო
1108

სამანუფაქტურო მაღაზია
მ. გ. აბაშიძისა
გადავიდა იმავე თამამშევის ქარვასლაში, ერევნის მოედანზე, სასახლის ქუჩის დასაწყისში, სამხედრო შტაბის პირდაპირ,
სადაც მიღებულია ყოველ-ნაირი ახალი საქონელი.
ფასები ძლიერ ხელმისაწვდომად და შეუდარებლად.
შემთხვევით ნაჭრების დიდი იაფობა.
1023

მწერალთა ოთხი
შედგენილი და გამოცემული თამარ თაქთაქიშვილისამიერ
იყიდება ი. კიკნაძის წიგნის მაღაზიაში „НОВАЯ РѢЧЬ" გოლოვინის პრ. № 22 სახაზინო თეატრის პირდაპირ. წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ქართული თეატრის ეზოში. მერკვილაძის მაღაზიაში, გეორგიევის ქ. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.
1180

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ბორდანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.
1091

ტფილისის კერძო სამკურნალო
ქვეშეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ დროს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი გ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს.<br>**ფედოროვი ი. გ.** ყოველ დღე 11—12<br>**კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკოვიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. პ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **მერზიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ი.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე 11—2.<br>**კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ—2 ს. |
| ნერვიულ სნეულებ. და ფსიქ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოევი გ. ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელის, ყურის და ცხვირ. | **ათინიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და შიგნების კატეტერიზაცია, ,,606'' და ,,914'' წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1070

გორის პირველი კერძო
სამკურნალო
ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)
განყოფილებებით.
კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.
გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:
**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
**წინამძღვრიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.
**მეხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე
**ბრიუკნერი მ. გ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.
**ვინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.
რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.
ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, ჭუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606", „914". 1088

კვირას, 30 მარტს,
მეფის მოადგილის სასახლეში,
საქართველოს ეგზარხოსი, ყოვლად უსამღვდელოესი
ალექსი
წაიკითხავს სამღვთისმეტყველო
ლექციას
შემოსავალი გადაიდება ქ. ტფილისის ღარიბთათვის.
ბილეთები იყიდება ეგზარხოსის კანცელარიაში, დილისის 9—2 საათამდე, ხოლო ლექციის დღეს სასახლის შესავალ კართანაც.
1135 ლექცია საღამოს 8 საათზე დაიწყება.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:
ჩვენი მწერლობა.

| | |
|---|---|
| [illegible] ილიას ნაწერები, | ფასი 1 მ |
| ხუნდაძე სიმონ. ლექსები, ქ. 1902, | 50 კ |
| მეზობლები და თითოლას სიზმარი, გ. 1899 წ. | 5 ,, |
| —ჩემი აზრი და ფიქრები, ნაწ. 1-ლი, ქ. 1901. | 20 ,, |
| —ცხოვრების სურათები ჩემი აზრი და ფიქრები, მე-2-ე ნ. წ. 1902. | 20 ,, |
| —სიმღერი, ქუთ. 1894. | 5 ,, |
| ქართ. ლიტერატურის სახელ მძღვანელო, ნიკ ბარათაშვილი, | 15 ,, |
| ხუსკივაძე. თხზულებანი, | 30 ,, |
| —ეკატერინე ბატონიშვილი, 1895, | 5 ,, |
| ფანცხავა. თხზულებანი, ფოთ 1903, | 1 მ. — |
| ხევის-უბნელი. ცხენის წურბელა, მოთხრობა ჩვენი გლეხის ცხოვრებიდან, | 15 ,, |
| [illegible] შვების თავადი, | 60 ,, |
| —სულამიტი ლირიკ. პოემა, ტ. 1909, | 10 ,, |
| ჩარხიშვილი. ცხოვრება და სიყვარული, ტ. 1904. | 40 ,, |
| —ლექსები და პოემები, ტფ. 1903, | 15 ,, |
| სალიტერატურო კრებული ,,ვრდემლი'', 1-ლი ტ., ტფ. 1912. | 1 მ. 50 ,, |
| იგივე მე-2-ე, 1912. | 1—50 ,, |
| **ახალი წიგნები:** | |
| ა. ჯორჯაძის მეხუთე წიგნი | 1 მ. |
| ვეფხის ტყაოს., ს. კაკაბაძის გამოც. | 2—50 ,, |
| დ. ჯანაშვილი. 1) ქართულ ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან, 2) ქართველი ქალები, | 75 ,, |
| ეკ. გაბაშვილი. ღვინია გადაიჩქა, საყმაწვილო მოთხრობა. | 5 ,, |

ადრესი: Тифлисъ Книж. магазинъ О-ва гра. ср. гр. нас. 1072

საბურთალოზე
მშვენიერ ადგილას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.
მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შეიძინონ ამორჩეული ადგილი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ. ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კირიაჩენის ქუჩის ახლო, [illegible] პირდაპირ. 1080

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მთაწმინდის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი გ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით:
სულით-ავადმყოფებისა, ამზნიანებისა და ლოთებისათვის.
ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50.
1084

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

ნაძალადევში
ხუდადოვის ქ., 4.
ექიმი ი. რ. სურგულაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი 4½—7 საათ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს. 141

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 1011

ქ. გორში
(დოქტორანტი).
ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1050

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

## ტფილისი, 28 მარტი

**რკინის გზის საქონლის სადგურის მუშათა გაფიცვის გამო.**

ტფილისის რკინის გზის საქონლის სადგურზე ამ ჟამად მუშათა გაფიცვაა, გაფიცვა გრძელდება, რადგანაც უფროსებს შეუძლებლად მიაჩნიათ მუშათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა მოთხოვნილებანი; მათი გაცნობა დაარწმუნებს მკითხველებს, რომ არც ერთი მუხლი ამ მოთხოვნილებებისა არ არის ისეთი, რომელთა დაკმაყოფილებაც რაიმე განსაკუთრებულ მსხვერპლს მოითხოვდეს იმისაგან, ვის ხელშიაც არის დღეს ეს საქმე. აიღეთ, მაგალითად, მესამე მუხლი მოთხოვნილებებისა. იქ სწერია: „თანახმად სამინისტროს დადგენილებისა, 9 საათის სამუშაო დღე; მხოლოდ კვირა-უქმე დღეებში მუშაობა თავდებოდეს ნაშუადღევს 1 საათზე". მუშები თავიანთ მოთხოვნილებებს ზურგს უმაგრებენ ისეთის არგუმენტით, რომელსაც, ცხადია, მეტი ძალა და ფასი უნდა ჰქონდეს უფროსების თვალში, ვიდრე ვსთქვათ, იმავ მუშათა მოთხოვნილებას; ეს არის სამინისტროს განკარგულება. აიღეთ მოთხოვნათა მეხუთე მუხლი: „წელიწადში სამი თვით განთავისუფლება **უჯამაგიროდ**". აი, ამნაირი ხასიათის მუხლებისაგან შესდგება მთელი 9 მუხლი, შედგენილი ფრიად ზომიერად და ისე, რომ არავის არავითარი ეჭვიც კი არ დაებადება, რომ მუშებს ალაპარაკებს უკიდურესი ნივთიერი მდგომარეობა და მუშაობის აუტანელი პირობები.

როგორ იქცევიან ისინი, ვის განკარგულებაშიაც არის საქმის მოწესრიგება? მათ, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, შეუძლებლად მიაჩნიათ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, 260-დე მუშას დათხოვნილად აცხადებენ, თუ სამუშაოს არ განაახლებენ, იწვევენ ახალ მუშებს, რო-

მელთა უმეტესობა ისეთი ელემენტებისაგან შესდგება, რომელთაც ვერ შეუძლიანთ დათხოვნილი მუშების მაგიერობის გაწევა, თავისი საქმის უცოდინრობით. მუშათა მოთხოვნილებანი რომ მძიმე ყოფილიყო, კიდევ შეეძლოთ რამე ეთქვათ; მაგრამ ვერც ერთს მოთხოვნილებაზე ვერავინ იტყვის, ძალიან გადამეტებულიაო. თქვენ წარმოიდგინეთ, მუშები ჯამაგირის მომატებაზედაც კი არაფერს ამბობენ. ამისთანა პირობებში საქმის გამწვავება, ორას სამოციოდე მუშის დათხოვნა და ჩაყენება ახალი, სრულიად გამოუცდელი მუშებისა დიდს გონებრივ გამჭრიახობად ვერ ჩაითვლება იმას, ვისაც შეუძლიან საქმე გამწვავებამდე არ მიიყვანოს და მიჰყავს კი.

ჩვენის აზრით, თვით რკინის გზის სამმართველოს ინტერესების თვალსაზრისითაც კი საზარალოა ასეთი გამწვავება. ახალი, საქმის სრულიად უცოდინარი მუშები ცხადია, მუშაობის ნორმალურ მიმდინარეობას შეჰშლიან. ადრე თუ გვიან უფროსები იძულებული გახდებიან ისევ ძველ მუშებში მოსძებნონ საქმისთვის გამოსადეგი კონტიგენტი.

ყველა ეს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საქონლის სადგურის მუშათა გაფიცვას მეტს ყურადღებას მიაქცევენ და რეპრესიულის ზომებით არ მოისურვებენ საქმის გამწვავებას.

## ქართული პრესა

გაზეთი „ჩვენი ერთ“ აღნიშნავს რა ფოთელ ზოგიერთ მუშების საქციელს, რომელნიც თავის ამხანაგებს ფასის დაკლებით შეეცილნენ ამბობს:

მარტო ფოთს კი არ ახასიათებს ასეთი მოვლენანი, ესევე მოხდა ჭიათურაში, ესევე ხდება შორაპანში, სადაც მუშებს ვაგონების გადმოტვირთვა 13—15 მანეთად ჰქონდათ აღებული და „ახლად გამოჩეკილ მუშებს“ კი დეპოს უფროსისთვის 8—9 მანეთი მოუთხოვიათ, ოღონდ სამუშაო ჩვენ მოგვეცითო. ამგვარი „სიურპრიზებით“ უმასპინძლდებიან მუშები მუშებს ფოთში, სადაც მუშათა რიცხვი რამდენიმე ასეულს არ აღემატება, ასეთი „კომბინაციების“ გზას ადგიან მუშები მუშების მიმართ შორაპანში, სადაც მუშათა მთელი რაოდენობა რამდენიმე ათეულს კაცს არ აღემატება, და ნუ თუ ესაა „ბრძოლით მოპოვებული უფლებით“ სარგებლობა, ნუ თუ ამას მოითხოვს „ამხანაგური ეთიკა? სად არის შეგნება? დიახ, ფრიად სამწუხაროა და დამაღონებელია, რომ განმაახლებელ მოძრაობას ზოგიერთებისთვის ქვენაგრძნობის მეტი არაფერი განუახლებია, სავალალოა, რომ გამათავისუფლებელ მოძრაობას, ზოგიერთი მარტოოდენ ზნეობისა და კეთილსინდისიერებისაგან გაუთავისუფლებია.

* *

უეჭველია მკითხველს კარგად ახსოვს ის აურზაური, რომელიც გამოიწვია ქუთაისში სამოქალაქო სასწავლებლების ზოგიერთ მასწავლებლის შეტაკებამ დირექციასთან 1881 წ. სამოსწავლო გეგმის ნიადაგზე. დირექციას უნდოდა ჩუმად კანონის გაბათილება და ქართულის ენის გაკვეთილების რიცხვის შემცირება, მაგრამ მედგარმა ბრძოლამ უკუაგდო უსამართლო იერიში. სამწუხაროდ კეთილშობილი სახალხო მასწავლებელი, სამართლიანობისთვის მებრძოლი, ჩვენში თითო ოროლაა და უმეტესობა კი წინ უსწრობს დირექციას და ყოვლის საშუალებით ცდილობს ქართულის შემცირებას და შევიწროვებას. აი რას სწერს ბ. ჩოხატაურელი გაზ. „იმერეთში“:

ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორმა ამ წლისთვის დაურიგა სკოლებს დამტკიცებული ნუსხა, სადაც ნაჩვენებია, რომ რუსული ენის სწავლება უნდა სწარმოებდეს 1 იანვრიდან (ლექსიკური განყოფილება).

მაგრამ ზოგიერთი მასწავლებელი, მიუხედავად ამისა, გულმოდგინედ შეუდგა რუსული ენის სწავლებას. აი, ამაზე იტყვიან „ციხე შიგნიდან გატყდებაო“. რას გამოელიან ასეთი საქციელიდან ჩვენი „ხალხის განმანათლებელნი?“

ცხადია, ჯამაგირს ამგვარი საქციელით ვერ გაიდიდებენ და მომავალი თაობისა და საზოგადოების წინაშე კი პასუხისმგებელი გახდებიან!..

ჩვენს გონებით ჩამორჩენილი და ზნეობით შერყეულს მასწავლებლებს ოდნავად არა აქვთ ამის შეგნება!

## სახელმწიფო სათათბირო

**26 მარტის სხდომა.**

**როძიანკო** თავმჯდომარეობს. ლენის ამბების გამო სათათბირომ მიიღო ოქტომბრისტების ფორმულა, რომელშიაც ნათქვამია, ვაჭრობის მინისტრის განმარტება მაინც ბრალდების არა ხსნის მის ქვემდებარე უწყებას საყვედურს, რომ მას არ მიუღია ყველა ზომა 1912 წლის 4 აპრილის ამბების თავიდგან ასაცილებლად, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტებანი სრულიად არ აკმაყოფილებს სათათბიროს. ეს ფორმულა სათათბირომ მიიღო 166 ხმით წინააღმდეგ 64.

განსახილველია შინაგან საქმეთა მინისტრისადმი შეკითხვა მინსკის გუბერნატორის განკარგულებათა შესახებ. მინსკის გუბერნატორი ავიწროებდა პოლონელ მცხოვრებთა კანონიერ უფლებებს მით, რომ აუკრძალა მათ სამშობლო ენის ხმარება. მომხსენებელი საფონოვი უჩვენებს, რომ შეკითხველების ცნობით მინსკის პოლიციამ გუბერნატორის განკარგულებით მოითხოვა, რომ რესტორანებისა, საკანდიტეროსა და სხვა სავაჭრო დაწესებულებათა პატრონებს პოლონურ ენაზედ წარწერები ჩამოეხსნათ, და ყუთებსა და შესახვევ ქაღალდებზედაც მოესპოთ პოლონური წარწერა. მომხსენებელი ამბობს, რომ ეს განკარგულება კანონში ვერა ჰპოვებს საფუძველს, ამიტომ კომისია წინადადებას იძლევა შეკითხვა მიიღონ.

**რაჩკოვსკი** იმედოვნებს, რუსეთის საზოგადოება, ხოლო შემდეგში თვით მთავრობაც იმ აზრს დაადგება, რომ ჩაგვრა იმ ერებისა, რომლებიც რუსეთის იმპერიაში შედიან, საზარალოა. სათათბირომ შეკითხვა მიიღო.

**შიტოხინი** მოახსენებს კომისიის დასკვნას ორლოვისა, ალგაჩანისა და ზოგიერთ სხვა საკატორღო სატუსაღოების ადმინისტრაციის მიერ უკანონო მოქმედების შესახებ ტუსაღების მიმართ. კომისია წინადადებას იძლევა შეეკითხოს იუსტიციის მინისტრს, მართალია თუ არა, რომ ორლოვის სატუსაღოში 14 კატორღელი აწამეს სატუსაღოს მთავრობის წინ; ნერჩინის კატორღაში სცემეს, ჭლექით ავადმყოფს ტუსაღებს ხუნდები და ბორკილები დაადეს, ქუთაისის სატუსაღოში სულით ავადმყოფ ტუსაღს სცემეს.

შემდეგი სხდომა ხვალ.

## სახელმწიფო საბჭო

**26 მარტის კრება.**

აკიმოვი თავმჯდომარეობს. საბჭომ 72 ხმის უმეტესობით 53 ხმის „წინააღმდეგ უკუაგდო სათათბიროს მიერ მოწონებული შემთანხმებელი კომისიის დასკვნა იმ კანონ-პროექტის შესახებ, რომელიც შეეხება სავაჭრო-სამრეწველო წარმოების ვალდებულებას, რომ თავისი სავალდებულო განცხადებანი მოსკოვისა და პეტერბურგის გუბერნიებში „მოსკოვისა“ და „პეტერბურგის უწყებაში გამოაცხადონ“. ამ გვარად, რადგანაც სათათბიროსა და საბჭოს შორის შეთანხმება ვერ მოხდა, ამიტომ კანონ-პროექტი უკუაგდეს. შემდეგ უკამათოდ მიიღეს 18 კანონ-პროექტი სათათბიროს რედაქციით.

შემდეგი სხდომა 14 აპრილს.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

◆ **„გვირილობა“.** ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლმა კავკასიის საზოგადოებამ დაადგინა, წელს „თეთრი ყვავილი“-ს დღესასწაული 22 აპრილს გამართოს, რადგანაც 20 აპრილს კვირა-დღეა და დუქან-მაღაზიები დაკეტილი იქმნება, რის გამოც ქალაქში ჩვეულებრივ მოძრაობა ხალხისა არ იქნება. დღესასწაულის გამართვაში მონაწილეობის მსურველთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ უბნების გამგეებად შემდეგი მანდილოსანნი არიან: პირველ უბნისა—პრინცესა კაჯარი და მ. გ. მინკევიჩი, მეორისა—მ. ი. ანანოვისა, მესამისა—მ. მ. შოლკოვსკისა და კ. ფ. ხატისოვისა, მეოთხისა—ე. ა. ავთანდილოვისა, მეხუთისა—ე. მ. აღელხანოვისა, მეექვსისა, მეშვიდისა და მერვისა—კნეინა მ. მ. თუმანიშვილისა და ა. გ. შახპარონიანცი, მეცხრე და მეათისა—მ. ნ. პროკოპენკოსი და მეთერთმეტისა და მეთორმეტისა—ა. დ. ზურაბოვისა.

◆ **ვერის ხიდის მოიჯარადრემ** ქალაქის გამგეობასთან იჩივლა, ხშირად შოფერები ავტომობილის გასავლელ გადასახადს არ იხდიანო. გამგეობამ პოლიციას მისწერა, მიიღოს შესაფერი ღონისძიებანი.

◆ **ხელოსანთა შორის.** ხელოსანთა დეპუტატების ყრილობამ დაადგინა, შეაგროვოს ხელოსანთა შორის ფული ქარიშხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ე. გ. ფრიდოვს მიერ შეწირულ ფულის სარგებელი, რომელიც ხელოსანთა გამგეობის ხელშია, მზითვად ერგო ორს უღარიბეს გასათხოვარ ქალს: ე. გელენოვსა და თამარ რუსიშვილს. თვითეულს ერგო 114 მან.

სახელოსნო გამგეობამ 500 მან. გადასდო მომავალ უქმეებისათვის ხელოსანთათვის დასარიგებლად.

◆ **ახალი გაზეთი.** ა. პ. არუთიუნიანცმა და ლ. მ. ხრთზიანცმა შუამდგომლობა აღძრეს გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს მათ, გამოსცენ ტფილისში ყოველდღიური რუსული კაპეკიანი გაზეთი, სახელად „დენ ი ნოჩ“ (დღე და ღამე).

◆ **ახალი ჟურნალი.** გუბერნატორმა ნება დართო ანნა მაჩაბლისას, გამოსცეს ტფილისში ყოველკვირეული რუსული ჟურნალი, სახელად „ნოვოე ზაკავკაზიე“ (ახალი ამიერ-კავკასია).

◆ **გუბერნატორმა ნება დართო** ცეცხლის-მქრობელ თავისუფალ საზოგადოებას, გამართოს 6 მაისს „ტფ. კრუჟოკის“ საზაფხულო სადგომში სეირნობა თავის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

◆ **ტრამვაის გამოსყიდვის გამო.** ქალაქის გამგეობა ამ დღეებში განიხილავს წინადადებას უცხოეთის ერთ-ერთ დიდის ფირმისას, რომელსაც [illegible], ტრამვაი, უსახელო საზოგადოებისაგან ქალაქის მიერ გამოსყიდვის შემდეგ, იჯარით აიღოს ქალაქისაგან. ფირმა თანახმაა: აძლიოს უსახელო საზოგადოებას გამოსასყიდი ფული, გაიყვანოს ტრამვაის შტოები პოლიტეხნიკუმთან, ახალ სასაკლაოსთან, მომავალ სასაფლაოებამდე, ფინიკულერის ქვედა სადგურამდე და ვაკესა და საბურთალოში, გააგრძელოს დიდუბისა და ორთაჭალის შტოები, გააფართოვოს სოლოლაკის გვირაბი და გაიყვანოს ტრამვაის შტო მომავალ საბალნეოლოგიო სადგურამდე. ამას გარდა ფირმა ქალაქს ჰპირდება საიჯარო ფული იმაზე მეტი აძლიოს, რასაც ახლა ქალაქი უსახელო საზოგადოებისაგან იღებს.

◆ **კეთილ-მოწესეთა არჩევნების გაუქმება.** მკითხველებმა იციან, რომ ქართველ სამღვდელოებას ამ 8 წლის წინად ებოძა კეთილ-მოწესეთა არჩევნების უფლება. როგორც ეხლა გვატყობინებენ, ეს წესი მოუსპია საქართველოს ახალ ეგზარხოსს და დაუდგენია, კეთილ-მოწესე თითონვე დანიშნოს ხოლმე. III საკეთილმოწესო ოლქის სამღვდელოების თხოვნაზედ ახალი კეთილმოწესეს არჩევნების შესახებ, მას უპასუხნია—„კეთილმოწესეს თითონ მეც ავარჩევო.“

◆ **კ. ყიფიანის იუბილეზე შემოსავალი ყოფილა:** 1) 26 თებერვალს თეატრის დილა-საღამოს შემოსავალი 1360 მ. 65 კ.; 2) შემოწირულებად საზოგადო დაწესებულებებიდან—1216 მ. 95 კ.; 3) კერძო პირთაგან შემოწირული—905 მ. სულ 3482 მ. 60 კ. **დახარჯულა:** 1) საიუბილეო მზადებაზე—342 მ. 94 კ.; 2) საიუბილეო განცხადებებისა—234 მ. 80 კ.; 3) თეატრის მართვა-მოწყობა და სხვ.—156 მ. 60 კ.; 4) თეატრის ხარჯი—303 მან. 10 კაპ. სულ 1036 მ. ნაღდი შემოსავალი დარჩენილა 2446 მ. 16 კ.

◆ **გიორგი ზაქარიას ძე ხუტაშვილს,** პოლიცმეისტერმა ნება დართო გაზეთის საშუალებით საზოგადოებას მიმართოს ნივთიერ დახმარებისათვის. მას ხელ-ფეხის სიდამბლე აქვს და მუშაობა სრულებით არ შეუძლიან: ყოველივე დახმარება ამ მისამართით უნდა გაიგზავნოს: ტფილისი, ტემრიუკის ქ. № 11, (მე-11 საპ. უბანი).

### საზოგადოებანი და კრებები

◆ კვირას, 30 მარტს, ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში შესდგება სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების **წევრთა საზოგადო კრება** სარევიზიო კომისიის ასარჩევად. კრება დილის 10 საათზე დაიწყება.

◆ **რუსეთის მეხილეობის** საზოგადოების ამიერ-კავკასიის განყოფილების წევრთა მორიგი კრება დანიშნულია დღეისათვის, საღამოს 7 ნახევარ საათზე, მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მოწყობის მთავარ სამმართველოს კავკასიის რწმუნებულის კანცელარიაში. კრება, სხვათა შორის, მოისმენს მოხსენებებს: ი. ე. კუშკეშას შემდეგს თემაზე: „ფიზიოლოგიური მნიშვნელობა შემოდგომაზე ხეხილის მორწყვისა“ და ზ. ი. ხაჩატუროვისას შემდეგ თემაზე: „მებოსტნეობა გუმბრის მაზრაში“.

◆ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს** კრება 26 მარტს მოხდა. საბჭომ დაადგინა, შემდეგ კრებაზე საბოლოოდ განიხილოს მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა. საბჭოს წევრებს დაურიგდათ ხარჯთაღრიცხვის პროექტი, რათა წინადვე გაეცნონ მას და კრებაზე მომზადებული მოვიდნენ. საბჭომ შემდეგ განიხილა თხოვნა დუშეთის მაზრის შემდეგ სოფლების მცხოვრებლებისა: წილკანისა, მისაქციელისა, ლამისყ., ახალდაბისა, ფრეზეთისა, ეროდისა, ნატახტარისა და ნაოზისა. სოფლელთ გადაუწყვეტიათ, მერძევეთა ამხანაგობა დაარსონ და შესაფერი განაჩენიც შეუდგენიათ. იმ პირთ, რომელთაც განაჩენზე ხელი უწერიათ, 500 სული მეწველი ძროხა ჰყოლიათ. სოფლელნი სამეურნეო საზოგადოების საბჭოს შესაფერ ხელმძღვანელობასა და დახმარებას სთხოვენ ამხანაგობის დაარსების საქმეში. კრებაზე ის აზრი გამოითქვა, რომ საჭიროა ხსენებულ სოფლებში გაიგზავნოს მერძეობის ინსტრუქტორი ალ. კახელიძე იმის გამოსარკვევად, თუ რა პირობები არსებობს იქ მერძევეთა ამხანაგობის დასაარსებლად. საბჭო ამ შუამდგომლობის განხილვას მომავალ კრებაზეც დაუბრუნდება.

### სომეხთა ცხოვრება

◆ **სომხური საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოების** გახსნა დანიშნულია 28 მარტისთვის, საღამოს 8 საათზე, სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში.

### სასამართლო

◆ **პოლიტიკური საქმე.** 26 მარტს ტფ.სა მოსამართლოში პალატ. საგანგებო საკრებულო წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით დაიწყო აქსტაფის სადგურის უფროსის თანაშემწედ ნამყოფ ლავრენტი კუპრიაშვილის საქმის გარჩევა. კუპრიაშვილი სამართალში მიცემულია სისხლის სამართლის მე-102 მუხლის ძალით. ბრალად ედება მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზაციის წევრობა. 26 მარტს საქმის გარჩევამ ნაშუაღამევის ორ საათამდე გასტანა. გაგრძელება გადაიდო გუშინდლისათვის, 27 მარტისთვის. ამ დღეს პალატის წევრი ბოლდირევი მძიმედ ავად გახდა და საქმის გარჩევაც შესწყდა. საქმე ახლა ხელმეორედ თავიდან გაირჩევა.

### ქუთაისი

◆ გუშინ ნაშუადღევის 1 საათზე ივ. კილაძის სტამბა დაკეტა პოლიციამ. გაზეთი „აზრი“, რომელიც ამ სტამბაში იბეჭდებოდა დღეს აღარ გამოსულა.

◆ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას განზრახვა აქვს გურიის ექვს საზოგადოებაში წიგნსაცავ-სამკითხველოები გახსნას.

### ჭიათურა

◆ შავი ქვის მრეწველთა საბჭომ ნება დართო ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეებს საექსკურსიოდ გაემგზავრონ ბაქოსა, ტფილისსა და ბათომში. საბჭომ ამ მიზნისთვის 700 მანეთი გადასდო.

◆ შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას გუბერნატორის წინაშე, ნება მიეცეს საბჭოს მუშების კრებები გამართოს მუშათა საავათმყოფო კასების წესდების გასაცნობად.

### ნიგოითი

◆ როგორც გადმოგვცეს ნიგოითში გლეხების მამულზე, რომელიც სახელმწიფო ბანკს დარჩენია, რუსებს ასახლებენ თურმე.

### ოზურგეთი

◆ 20 ამ თვეს ამიერ კავკ. რკინის გზის მმართველობის (კომერც. განყოფილების) განკარგულებით ჩამოვიდა ინჟინერი ბ. ვ. რ. შიმანსკი, რომელსაც ადგილობრივ უნდა გამოეკვლია მაზრის ეკონომიური მხარე, რითაც იხელმძღვანელებენ მომავალ რკინის შტოს გამოყვანის დროს ნატანებიდან ოზურგეთამდი. ბ. შიმანსკიმ ქალაქის მოურავისა და ხმოსანთა თანხლებით დაათვალიერა ადგილობრივ ტყე და მთა-მადნიანი ადგილები. როგორც ხმა დადის, ბ. შიმანსკი კმაყოფილი დარჩენილა დათვალიერებით და იმედია ახლო მომავალში ოზურგეთელებიც ეღირსებიან რკინის გზას.

◆ ქალაქის თვითმმართველობას ცნობა მოსვლია, რომ ოზურგეთში ხაზინის გახსნის კანონ-პროექტს ამ წლის ენკენისთვეში განიხილავს სახელმწიფო სათათბიროო.

◆ ბ-ნ გერმანე გოგიტიძის დიდის მეცადინეობით ოზურგეთში შენდება **სათეატრო დარბაზი.** დეკორაციებს ჰხატავს მხატვარი ნალეპოვი. სცენისა და ელექტრონის განათების მოსაწყობად ჩამოვიდნენ კ. ზუბალაშვილის სახალხო სახლის დეკორატორი ლიაპინი და ელექტრო-ტეხნიკი ვორონოვი. დარბაზის კურთხევა მაისის პირველ რიცხვებში მოხდება.

### ხონი.

◆ 23 მარტს ხონის საკრებულო ტაძარში გადახდილი იქმნა პანაშვიდი ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის მესვეურის **არჩილ ჯორჯაძის** სულის მოსახსენებლად.

### გორი

◆ კვირას, 23 მარტს, **არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების წლის თავზე** გადახდილ იქმნა ადგილობრივ საკრებულო ტაძარში პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

◆ 25 მარტს, **საზოგადო** საკრებულოს დარბაზში ადგილობრივ სავაჟო და ქალთა გიმნაზიებთან არსებულ მშობელთა წრეების სასარგებლოდ გაიმართა ქართულ-რუსულ-სომხურ წარმოდგენა.

### სოფლად.

**სოფ. კაიშაური** (მთიულეთი). 23 მარტს სოფ. კაიშაურის ეკლესიაში **არჩილ ჯორჯაძის** სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადეს. დაესწრო მრავალი ხალხი. გალობდა ადგილობრივი სკოლის მოწაფეთა გუნდი.

## ქუთაისის აბ-კარგი

ქუთაისის თეატრის საქმე უკუღმა დატრიალდა. რამდენადაც ეხლანდელი გამგეობა ქართული დრამატიული საზოგადოებისა დიდს ენერგიას იჩენდა თავისარჩევის პირველ წლებში, იმდენად იგი მოდუნდა შარშან და საქმე იქამდის მივიდა, რომ ქუთაისი თავისი იძქმის 60 ათასი მცხოვრებით, უსეზონოდ დარჩა იმ დროს, როცა ბათუმში, ჭიათურაში, ბაქოში მუდმივი წარმოდგენები იმართებოდა ქართულ ენაზე.

დასის შედგენას დრ. საზ. გამგეობა გვიან შეუდგა და ამიტომ არც გასაკვირველი იყო, რომ დასი ვერ შეადგინა, ხოლო რაც შეეხება ტფილისის დასის მოქმედებას აქაურ თეატრში სისტემატიურად, აქაც დრ. საზ. გამგეობამ გაუგებარი ხელმოკლეობა გამოიჩინა და საკმაო იყო ორ-სამ წარმოდგენას საზოგადოება არ დასწრებოდა, რომ დრ. საზ. გამგეობა საზოგადოებას შემოსწყრა და ტფილისის დრამ. საზ. დადებული ხელ-შეკრულება დაარღვია და ჩვენი ქალაქი უსეზონოთ დარჩა.

გვესმის კარგად, რომ დრ. საზ. გამგეობა გააჯერა ქუთაისის საზოგადოების გულგრილობამ; ვიცით ისიც რომ წინა წლების დეფიციტის გასტუმრება საზოგადოების გამგეობას არა ჩვეულებრივ ენერგიას სთხოვდა, მაგრამ მიუხედავად ამისა საზოგადოება მაინც ვალდებული იყო გადაელახა ყოველგვარა დაბრკოლებანი და ქუთაისის საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით ახალგაზდობისათვის, სულიერი საზრდო არ მოეკლო.

მაგრამ რაც იყო იყო; წამხდარი საქმის გამობრუნება ეხლა შეუძლებელია და საზრუნავი მომავალია. ხოლო თუ ამ მომავალზე ზრუნავს ეხლავე არ შევუდექით, იგივე დაგვემართება რაც შარშან ე. ი. სათეატრო ძალები დაიქსაქსება სხვა და სხვა დასებში და მერე ბევრიც რომ ვეცადოთ დასს ვეღარ შევადგენთ.

ამიტომ დრ. საზ. გამგეობამ რაც შეიძლება ჩქარა უნდა შეადგინოს თავის ანგარიშები და საჩქაროდვე მოიწვიოს საზოგადო კრება, რომელსაც უნდა მოახსენოს თავის მოსაზრებანი და განზრახვანი მომავალი სეზონის შესახებ და, მიიღებს თუ არა დასტურს, დაუყონებლივ შეუდგეს სეზონის სამზადისს,—უამისოდ გვიან-ღა იქნება.

ს. ე. ძ.

## მიჰხედეთ!

ამ ბოლო დროს ტფილისის სახალხო უნივერსიტეტმა ფხა და სიცხოველე გამოიჩინა: ქართულმა სექციამ ჯერ-ჯერობით ნაძალადევში და ვერაზე, ამ ერთი თვის განმავლობაში, გახსნა სისტემატიური საღამოს კურსები მუშებისათვის, სადაც ქართულად ლექციებს კითხულობენ. მაგალ. ბ.ბ. მ. წულუკიძე კითხულობს ქართულ ლიტერატურას, ი. სურგულაძე—ჰიგიენას, ვ. ბურჯანაძე—საქართველოს ისტორიას. ეს ლექტორები მუყაითად ექცევიან თავიანთ საქმეს; ესევე არ ითქმის სხვა ლექტორებზე, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო ხშირად აკლდებიან ხოლმე. ლექტორების დიდი საჭიროებაა.

ნაძალადევში ორთა-შუა რიცხვით თითო საღამოს 50—50 ესწრება მსმენელი და რომ რიგიანად წავიდეს საქმე, დარწმუნებული ვარ ერთი-ორად მაინც გაიზრდებოდა ეს რიცხვი.

ჩვენს მუშა ხალხში ფრიად გაღვიძებულია წყურვილი სწავლისადმი და იმედია ჩვენი ლექტორები დააკმაყოფილებენ ამ სასურველ მოთხოვნილებას.

ამის წინათ „სახ. გაზ.“ აღნიშნული იყო, რომ „ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“ აარსებს კურსებს ქართულ ლიტერატურის და ისტორიის შესასწავლადო, მაგრამ ჯერ-ჯერობით არა ისმის რა.

ბატონებო, ცალკე კურსების გახსნის მაგიერ არა სჯობიან დაეხმაროთ უკვე არსებულ კურსებს?!

იმედია ეს მოწოდება არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“...

**ერმალოზ—კახი.**

## საჭირ-ბოროტო საკითხი

ყველა დარგის მუშებს აქვსთ თავიანთი კავშირი, გარდა მასწავლებლებისა. ამ უკანასკნელთ არა თუ რაიმე კავშირი აქვთ, პირიქით, უბელადოდ ცხვრის ფარასავით არიან დაქსაქსულნი და სულ უბრალო საკითხის გადაჭრაც კი არ ძალუძთ შეერთებულის ძალით. ხშირად გაიგონებთ, რომ ერთ და იმავე სკოლაში იმდენად დაშორებულნი არიან მასწავლებელნი სულიერად ერთმანეთისგან, რომ არ იციან თუ რა მეთოდით სწარმოებს მეცადინეობა მეზობელ მასწავლებლის კლასში. იმდენი სულ მდაბლობა, მლიქვნელობა, ორმაგობა და რაც გინდ, გამცემლობაც, რამდენიც ამ „განათლების“ ტაძრებში ხდება, არსად, არავითარ დაწესებულებაში არ არის. თუნდაც უკიდურესი რეაქციონურიც იყოს იგი. რომ უფრო ნათლად დავანახოთ მკითხველ საზოგადოებას სკოლების უნუგეშო მდგომარეობა უახლოესს მაგალითებს მოვიყვანთ.

როგორ იქცეოდა ქუთაისის კურსებზე მთლად „კურსისტ-მასწავლებლები? სამარცხვინოდ. ამას მოწმობს მთელი ქართული პრესა. იმ მცირე უფლებასაც კი ვერ იყენებდა ეს სულით დამონებული ხალხი, რომელსაც მათ მთავრობა აძლევდა, თორემ საწინააღმდეგო ბრძოლაზე ხომ მუსაიფიც მეტია! გაიხსენეთ ბ. ბ. კურსისტებო ბ. ინსპექტორის სიტყვები: **„Никто не просит вас, чтобы вы начинали лексическіе уроки с сентября мѣсяца, как это обнаруживалось во время ревизіи“.** რა გვითხრა ამ ირონიულად წარმოთქმულმა სიტყვებმა?

ან როგორ მოიქცა მასწავლებლობა, როდესაც ქალაქის სკოლის ორი მასწავლებელი დაითხოვეს? გაუმაგრა ვინმემ ზურგი? არა და რომ სხვა დარგის მოხელენი არ ჩარეოდნენ ესენი ეხლაც უადგილოდ იქნებოდნენ.

როდესაც ოფიციალურად ნება დართულია: 81 წლის გეგმით სწავლება, გამოჩნდნენ ისეთი ხალხის „ერთგული“ მასწავლებელნი, რომლებმაც რუსულის გაკვეთილები ოქტომბერში მაინც დაიწყეს.

ბევრს სკოლებში, სანამ განკარგულება მოხდებოდა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების სკოლებიდან განდევნაზე, ბევრ ვაჟბატონს უკვე დაწყებული ჰქონდა „გრიგორიევ ოლენინ“ის სახელმძღვანელოებით მეცადინობა. შეეცადა თითო ოროლა სკოლის მეტი, როგორმე თავიდან აეცილებინა ეს სამარცხვინო ბიჯი? არა!

ან როგორ იქცეოდა დიდი უმრავლესობა მესამე რაიონის მასწავლებლებისა, როდესაც იქ თარეშობდა გასპარიანცი და უკონტროლოდ სწყვეტდა ზოგიერთთა ბედს? შეეცადა ვინმე დაჩაგრულ მოძმისთვის დაეჭირა მხარი? პირიქით ბევრი კიდეც ქება-დიდების ფურცლებს უძღვნიდა და ყოველ ღონეს ხმარობდა გაემართლებინა მისი უმზგავსო საქციელი (იხ. „განათლება“ № 1).

რატომ ერთხელ მაინც არ მიუცია მასწავლებლებს თავისთვის კითხვა „ვინ ვარ, რას ვემსახურები“? ნუ თუ ისეთ მასწავლებელს, რომელიც მზად არის გადამგვარებელს 28

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთისთვის ოცდა რვაჯერ დაუჩოქოს და ამხანაგთ კი მგლურად კუდი გაუქნიოს, უფლება აქვს თავის თავს, ეს წმინდა 'ახელი „სახალხო მასწავლებელი" უწოდოს? თუ კი მასწავლებელზე უფრო დაბალ საფეხურზე მყოფთ შეეძლოთ თავი მოეყარათ, თავიანთი მდგომარეობა გაეთვალისწინებიათ, · მოწინააღმდეგეთათვის წინააღმდეგობა გაეწიათ, მტერი მოყვრიდგან გაერჩიათ, ნუ თუ მასწავლებელს არ შეეძლო? მაგრამ განა სპეციალური განათლება კმარა რომ კაცმა თავს ადამიანი უწოდოს? არა, ბატონებო, საჭიროა ადამიანურ უფლებების შეგნება, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანი მხოლოდ ღირსეულ მოწინააღმდეგეს უწევს ანგარიშს....

დროა შეიგნოთ წმინდა მოვალეობა, ნუ დაივიწყებთ, რომ ადამიანის გაუმაძღარ პირად ინტერესებს არ შეიძლება ენაცვალოს მისი ბედიღბალი.

იმ მასწავლებელთ, რომელნიც ჯერ არ დაკნინებულან, სპეტაკი სული შერჩენიათ, ვალად ედებათ შეგნებულის ძალით დაანახვონ გზააბნეულთ ჭეშმარიტი მიმართულება, რომ ამით შეიტანონ სკოლაში: თავისუფალი სული, სითბო, არ ჩაუხშონ ყრმათ ნორჩი სიყვარული დედა-ენისადმი და თავიდგან აიცილონ პოლიტიკანობა, ორმაგობა და სხვა მდაბალი თვისებები, რომელთაც ასე ფართო ასპარეზი აქვთ დათმობილი ეხლანდელ სახალხო სკოლებში. მოვაგონებთ მასწავლებელთ რომ ყოველი ნაბიჯი დიდი სიფრთხილით უნდა იქნეს გადადგმული სწავლა-აღზრდის საქმეში, თორემ „ერთი სულელი გადისვრის ზღვაში ძვირფასს ქვას და ათასი ბრძენი ვერ ამოიღებს". მეტი შეგნება თავის მდგომარეობის, რომ დაქსაქსულ მასწავლებლობას ის ბედი არ ეწვიოს, რაც ერთ იგავ არაკში, შველ-ირმებს, რომელნიც მეფემ სათითაოდ დაამსხვრია მაგალითისთვის.

**გარიყული.**

# მუშათა ცხოვრება

### ჩვენში.

**რკინის გზის სადგურის ვაგონების დამტვირთავ მუშათა გაფიცვა.**

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ რკინის გზის სადგურზე ვაგონების დამტვირთავ მუშებმა 24 მარტს გაფიცვა გამოაცხადეს მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის გამო. მოთხოვნილებანი შესდგება სულ ცხრა მუხლისაგან. ამათში უმთავრესი მუხლი მეორე და მესამეა. მეორე მუხლით მუშები მოითხოვენ, რომ მუშათა დათხოვნა-მიღება ექვემდებარებოდეს ორივე მხარისაგან შემდგარ კომისიას; მესამე მუხლით კი ითხოვენ 9 საათის სამუშაო დღის დაწესებას. ეს მუხლი ემყარება გზათა სამინისტროსაგან მიერ გამოცემულ წესს. ეხლა იქ სამუშაო დღე განსაზღვრული არ არის და ამის გამო სადგურის ადმინისტრაცია ყოველთვის ზედმეტს ამუშავებდა მუშებს. დანარჩენი მოთხოვნილებანი იმდენად უბრალოა, როგორიც არის ზრდილობიანი მოპყრობა, სამი თვის განმავლობაში ადგილის შენახვა უჯამაგიროდ და სხვა. სადგურის ადმინისტრაციამ დადებულ ვადის განმავლობაში შესაძლოდ ვერ სცნო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რამაც მუშათა გაფიცვა გამოიწვია. სულ გაფიცულია 240 მუშამდე. სამწუხაროდ ყველა მუშამ ვერ გამოიჩინა სამარისი შეგნება და თავის ინტერესთა გათვალისწინება, ამხანაგ მუშას მხარი არ ამოუდგა და განაგრძობს მუშაობას. შტრეიკბეხერთა რიცხვი თუმცა მცირეა (თხუთმეტიოდე), მაგრამ მაინც არღვევენ ისინი მუშათა ერთსულოვნებას და გაფიცვის წესიერ მსვლელობას აფერხებენ.

სადგურის ადმინისტრაციამ 25 მარტს განცხადება გამოაკრა, რითიც აცნობებდა მუშებს, რომ მისულიყვნენ 26 დილით ძველ პირობებში მუშაობის გასაგრძელებლად; წინააღმდეგ შემთხვევაში მუშებს ანგარიში უნდა გაესწორებინათ. მუშები დანიშნულ დროზე სამუშაოდ არ მისულან და ანგარიშის გასწორებაზედაც უარს ამბობენ. სადგურის ადმინისტრაცია შეუდგა თადარიგს მუშათა ახალ კომპლექტის შესადგენად. 26 მარტს უკვე სადგურზე მუშაობდა ახალი, სულ მთლად გამოუცდელი მუშები, რიცხვით 120 კაცი. ეს გარემოება საქმის დიდ ვაიუშველებას ჰბადებს. შტრეიკბეხერთა საქციელი და ახალ, უკულტურო მუშების მოყვანა საქმეს ფრიად ართულებს. ქუჩაში რჩება სულ უსახსროდ 300 კაცამდე, რომელთაც დიდიხანია რაც უმუშავნიათ სადგურზე. იმედია, მუშები მეტ შეგნებას გამოიჩენენ და თავიდან აიცილებენ იმ ექსცესებს და არა სასურველ შედეგებს, რაც ხშირად თან სდევს ხოლმე გაფიცვას. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, შტრეიკბეხერების რაზმი იმ მუშათა შემწეობით გაძლიერდა, რომელნიც ამხანაგების მიერ არტელიდან ქურდობისათვის იყვნენ დათხოვნილნი. ეს კარგად იცის სადგურის ადმინისტრაციამ.

**სამწუხარო მოვლენა ფოთის ნავთსადგურის მუშათა შორის.**

ფოთის ნავთსადგურის მუშათა ერთმა ჯგუფმა, რიცხვით 80 კაცმა შეადგინა არტელი და აიღო ეგრედ წოდებული კერძო სამუშაოები ე. ი. ცემენტი, ფქვილი და სიმინდი. ათასი ფუთის გადმოტვირთვა იკისრეს 10 მანეთად. რადგან ეს სამუშაო მეტ მუშას ვეღარ დაიტევს ამ არტელმა უარი უთხრა რამდენიმე მუშას არტელის წევრად მიღებაზე. თუმცა ლა სამუშაოს პატრონთან ჯერ წერილობითი პირობები არ იყო დადებული, მაგრამ არტელი კაი ხანია განაგრძობდა ამ სამუშაოთა შესრულებას; ამ დროს უკმაყოფილო მუშებმა, რომელთა სახელი და გვარები უკვე იყო გამოცხადებული გაზეთ „ჩვენის ერის"-ს № 5-ში, მიმართეს სამუშაოს პატრონთაგანს ცემენტის წარმომადგენელს ბ-ნ კოკუას, მისცეს წინადადება ორ მანეთ ნაკლებ ვიმუშავებთ ათას ფუთზე და ჩვენ გადმოგვეცი სამუშაოო. ბ-ნი კოკუაც ამას ეძებდა, დიდის სიხარულით გადასცა სამუშაო ფასის დაკლებით. ამ უკანასკნელებმა კი მოუყარეს თავი შტრეიკბეხერებს, შეადგინეს ვითომდა არტელი და ადგებიან სამუშაოს. გაიგეს რა ეს ამბავი სხვა დარგის მუშებმა, თუ მუშათა მეგობარმა პირებმა მყისვე გამოგზავნეს ადგილზე თავიანთი წარმომადგენლები საქმის გამოსარკვევად და მოსაწესრიგებლად. წარმომადგენლებმა მოუწოდეს ორივე ჯგუფის წარმოიადგენელთა და მოუსმინეს მათ. გამოირკვა შემდეგი: ა) სადაო სამუშაოზე ცხრა თვეზე მეტია რაც 80 მუშის ჯგუფი მუშაობს არტელის წესზე, ბ) ამ რამდენიმე კვირის წინად პატრონთა მოთხოვნით შეურიგდნენ ამ უკანასკნელთ ათას ფუთზე ათი მანეთით არტელის წესზე და ეს შერიგება უნდა წერილობით შეედგინათ, გ) რადგან ეს სამუშაო 80 კაცის მეტს არ საჭიროებს ზედმეტი არ მიიღეს და ამან გააჩინა უკმაყოფილო მუშები, რომლებმაც, ათასზე ორი მანეთის დაკლებით, წაართვეს ძველ მუშებს ცემენტის მუშაობა.

ძველ მუშების წარმომადგენლები აცხადებენ, ჩვენ არაფერი გვექნება საწინააღმდეგო, თუ ახალი მუშები ფასს არ დაუკლებენ და ისე აიღებენ საქმეს, რომ საზოგადოდ არ დასცენ სამუშაოს ფასებიო, ვინაიდან ჩვენ კარგათ ვიცით, რომ თუ აქ გავიდა ფასის დაკლება, ე. ი. ერთი საგრძნობელი დაკლება, როგორიც არის ორი მანეთი ათასზე, ამას მოითხოვს ფოთში ყველა სამუშაოს პატრონი და ამით, არა თუ ჩვენი, არამედ მთელი ფოთის მუშათა საქმე ფუჭდებაო; უარს სთქვან ბ-ნ კოკუას ამ პირობით მუშაობაზე, მიგვიშვა ჩვენ სამუშაოზე და თუ კოკუა გირაოს წაართმევს პირობის ძალით ამ გირაოს ჩვენ გადაუხდითო (როგორც ახალი მუშები ამბობენ გირაო წარუდგინეს კოკუას ორასი მანეთი) ამასთან ერთად ავირჩიოთ მომრიგებელი კომისია, რომელსაც მივანდოთ გამოარკვიოს ჩვენი დავა და განაჩენი გამოგვიტანოს, რომელიც სავალდებულო იქნება ორთავე მხარესთვის.

ახალ მუშების წარმომადგენლებმა ვერ იკისრეს თავიანთ ამხანაგების მაგიერ პასუხის გება, თავის მხრით განაცხადეს: ჩვენ არ მიგვიღეს სამუშაოზე და იმიტომ გავუწიეთ მეტოქეობა, დაუკლეთ ცემენტის ამოტვირთვას ათასზე ორი მანეთი, ავიღეთ 10 მანეთის მაგიერ 8 მანეთი, შეუკარით პირობა და ორასი მანეთი გირაო გვაქვს წარდგენილიო. ეხლა ჩვენთვის უხერხულია საქმის ლაგდება და ჩვენ რადაც რომ დაგეთანხმოთ ამაზე ჩვენი ამხანაგები არ ვიცით რას იზამენო.

შუაკაცებმა ამნაირი რჩევა მისცეს ორთავე მხარეს:

ა) ახალმა ჯგუფმა უარჰყოს თავისი პირობა, თუ ამან გირაოს დაკარგვა გამოიწვია ძველი არტელი უხდის ზარალს.

ბ) არჩეულ იქმნას ორთავე მხრით კომისია, რომელმაც გადასწყვიტოს ეს დავა და ეს გადაწყვეტილება სავალდებულო იყოს ორთავე მხარეთათვის.

გ) რადგან კომისიის არჩევასა და მისი განაჩენის შედგენამდე შეუძლებელია მუშაობის შეჩერება, ძველმა არტელმა განაგრძოს მუშაობა მისი პირობის თანახმად.

ამ რჩევას არ დაჰყაბულდნენ ახალი მუშები, ისინი თავისას იმეორებენ. ამ ვაჟბატონებს ავიწყდებათ, რომ თავიანთი მოქმედებით მუშათა ყველა დარგის საქმეს აფუჭებენ, მეტოქეობას უწევენ ისევ მუშას. ამით სარგებლობას აძლევენ უმისოდაც მაძღარს ცემენტის სინდიკატსა და მის წარმომადგენელს. ამას ვერ იზამს მუშა და თუ იზამს მუშის სახელს აღარ უნდა ატარებდეს.

**მუშის მოკეთე.**

### რუსეთში.

**პეტერბურგი** (დეპეშა). დროებით დახურულმა პუტილოვის ქარხანამ, პუტილოვის ვერფმა, სამხედრო მასალის მკეთებელმა რუსეთის საზოგადოების ქარხანამ, ნევის საძაფო სამრეწველოს სამმა ქარხანამ და მთელმა რიგმა წვრილი წარმოებისა მუშაობა განაახლეს.

**რიგა** (დეპეშა). 24 მარტს გაფიცულ ქარხნებში მუშაობა დაიწყო. გუბერნატორმა ადმინისტრატიულად დასაჯა 2 კვირიდან 3 თვემდე 16 მუშა, რომელთაც ბრალად ედებათ დემონსტრაციებში მონაწილეობა, პროკლამაციების გაფანტვა, მუშაობის შეჩერების დროს ძალდატანება.

**ლოკაუტი და დემონსტრაციები.**

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, პეტერბურგის მუშებმა ერთი დღით პოლიტიკური გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცვის მიზეზი იყო მთავრობის არა დამაკმაყოფილებელი განმარტება სათათბიროში ლენის ამბების თაობაზე. ამის გამო პეტერბურგის მექარხნეებმა რამდენიმე თათბირი მოახდინეს იმ ღონისძიებათა გამოსაძებნად, რითაც შესაძლებელი იქნება გახშირებულ გაფიცვასთან გამკლავება. პეტერბურგის მექარხნეთა საზოგადოებამ განაცხადა, რომ გაზაფხულს მოხდება მორიგი კონფერენცია ჩრდილოეთის რაიონის მრეწველებისა და იმ კონფერენციაზე იქნება განხილული ეს საკითხიო. ამისათვის მექარხნეთა თათბირი ამ საკითხში განსაზღვრულ გადაწყვეტილებას არ დაადგა. მათ გადაჰსწყვიტეს მხოლოდ დაეჯარიმებინათ მუშები სამუშაოს თვისი ნებით მიტოვებისათვის. ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს და პოლიტიკური გაფიცვისათვის დააჯარიმეს 80 ათასი მუშა ერთი დღის ხელ-ფასის დაკლებით. ამ ზომამაც ვერ გასჭრა. პეტერბურგში მუშათა გაფიცვამ ხელახლად მძლავრად იფეთქა ზოგიერთ ქარხანაში მუშა ქალთა მოწამვლის გამო. მექარხნეებმა ხელახლად მოახდინეს თათბირი. სპილენძისა და თუჯის ჩამომსხმელ ქარხანათა პატრონებმა ამ კრებაზე წინადადება შეიტანეს დაჰკეტონ ქარხნები განუსაზღვრელ დრომდე. ამ წინადადებამ აზრთა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. საფეიქრო და სამანუფაქტურო ქარხნების პატრონნი წინააღმდეგნი იყვნენ ამ აზრისა, რადგანაც თვით მრეწველთათვის მიაჩნდათ ფრიად საზარალოდ.

მექარხნეთა თათბირმა მაინც გადასწყვიტა დიდ ქარხნებში ლოკაუტი მოეხდინა.

19 მარტს, რასტერიაევის სალითონო ქარხანაში გამოცხადებული იყო, რომ დაუსრულებლივ გაფიცვებისა გამო ქარხანა დაიკეტა განუსაზღვრელ დრომდე. ამ ქარხანაში მუშაობდა 3,000 კაცი. დილით, 20 მარტს გამოაცხადეს, რომ დაიკეტა ყველაზე დიდი ქარხანა პეტერბურგში პუტილოვისა. ამ ქარხანაში 15,000 მუშა მუშაობდა. მუშები დილით ჩვეულებრივად მივიდნენ ქარხანაში, მაგრამ სახელოსნოებში არავინ შეუშვეს. მუშები საშინლად აღელდნენ და მოითხოვეს ქარხნის ადმინისტრაციის წარმომადგენელი პირად მოსალაპარაკებლად. მუშების მოთხოვნაზე პასუხი არ შეუღვლიათ. ქარხანასთან გაჩნდა პოლიციის გაძლიერებული რაზმი და მოსთხოვა მუშებს დაშლილიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშებზე ძალას იხმარდნენ. მუშების უმრავლესობა სახლებში დაიშალა; ერთი ნაწილი მუშებისა პეტერგოფის ქუჩისკენ გაემართა სარევოლიუციო სიმღერებით. პოლიციამ დემონსტრაცია გაჰფანტა. მალე პოლიცია გაიწვიეს ნარვის უბანში, სადაც მუშებს მიტინგი ჰქონდათ გამართული. პოლიციამ მუშებს ალყა შემოარტყა და განუცხადა, რომ ყველანი დაპატიმრებულნი არიანო. მუშებმა პოლიციის ალყა გაარღვიეს და დაიშალნენ. დაპატიმრეს მხოლოდ ექვსი მუშა.

იმავე დღის დილით დაკეტეს სამეხანიკო ქარხანა, სადაც 1000 კაცი მუშაობდა, ძველი ლესნერის ქარხანა—1.200 კ., ნადმის ქარხანა—900 კ., ახალი ლესნერისა—1000 კ., სიმენსისა და მანსკესი—800, არტურ კოპელისა—900 კ., ფენიქსისა—600 კ., პოსელისა—3.000 კ., კაბელის ქარხანა—1.500 და სხვები.

კენიგის სამანუფაქტურო ქარხანაში, სადაც მუშათა მოწამვლა მრავლად მოხდა, 19 მარტს მუშებს გამოუცხადეს, რომ ქარხანა გამოურკვეველ დრომდე დახურულიაო, დილით მუშებმა ქარხანასთან მრავლად მოიყარეს თავი, სჭარბობდნენ ქალი მუშები. მათ მოითხოვეს ქარხნის გახსნა. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ვიდრე გამომძიებელი კომისია არ გამოარკვევს მუშა ქალების მოწამვლის ნამდვილ მიზეზს ქარხანა არ გაიღებაო. მუშები მაინც დაჟინებით მოითხოვდნენ ქარხნის გაღებას. გამოიწვიეს პოლიცია, რის შემწეობითაც მუშები გაჰფანტეს. ამ ქარხანაში 2.000 კაცი მუშაობდა. გამოურკვეველ დრომდე დაიხურა აგრეთვე ბალტიის გემთა სააღმშენებლო ქარხანა, სადაც 4 000 კაცი მუშაობდა. ამ ქარხნის მუშები საშინლად აღელდნენ ამ საქციელით; პოლიციამ მუშები გაჰფანტა.

რადგანაც ქარხნების დაკეტვა ჩვეულებრივის წესის დარღვევით მოხდა: მუშებისთვის 2 კვირის წინად უნდა ეცნობებინათ ქარხნების დაკეტვა, ამისთვის მუშებმა ლოკაუტის საპასუხოდ გადასწყვიტეს ორი კვირის ხელფასი მოსთხოვონ ქარხნების ადმინისტრაციას.

სათათბიროს სოც. დემ. ფრაქციას საგანგებო კრება ჰქონდა, სადაც გადასწყდა შეკითხვის შეტანა ქარხნების დაკეტვის თაობაზე.

მუშათა პრესის ცნობით, სულ ქუჩაში დარჩა 500,000 კაცი.

„სახალხო გაზეთის" კანტორისაგან

მოვაგონებთ **წლიურ ხელის მომწერლებს**, რომ, ვისაც შემდეგი **ხვედრი ფული** (2 მანეთი) 1-ლ აპრილისთვის გადახდილი არ ექნება,

**გაზეთის გზავნა მოესპობა.**

## წვრილი სესხის ამხანაგობანი

**ფოთის ამხანაგობის წევრთა კრება**

2 მარტს, ფოთის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, წვრილი სესხის ამხანაგობის წლიური კრება მოხდა. კრებას დაესწრო 150 წევრი და წვრილი სესხის ინსპექტორი ბ-ნი ფომენკო. კრების თავმჯდომარედ ბ-ნი ს. ხოშტარია აირჩიეს.

ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარემ მ. ესაკიამ მოახსენა კრებას გასული წლის ანგარიში. ამხანაგობას შარშან ჰქონია შემოსავალი 2500 მანეთამდე, წმინდა მოგება დარჩენილა 51 მან. და 51 კაპიკი. წმინდა მოგების სიმცირე გამგეობის თავმჯდომარემ იმითი ახსნა, რომ 1912 წ. ამხანაგობამ შეასრულა სახელმწიფო ბანკის მოთხოვნა, ერთი თვის განმავლობაში (იანვარში) გაათავისუფლა მთელი მოკლე ვადიანი სესხი სახელმწიფო ბანკში, რომელიც უდრის 15.000 მანეთს, აღმოჩნდა, რომ ამან გააცდინა ეს თანხა ოთხი თვის განმავლობაში და ამის გამო ამხანაგობის მოგებას დააკლდა 300—400 მანეთამდე. კრებამ კამათის შემდეგ ანგარიში დაამტკიცა; წმინდა მოგება ასე გაანაწილეს: 15 მანეთი სათადარიგო თანხაში, 25 მანეთი ძირითადი თანხაში, ხოლო 11 მან. და 51 კ. გადადვა მოსამსახურეთა დასაჯილდოებლათ. გამგეობის თავმჯდომარის მოხსენებით სჩანს 1914 წ. მოსალოდნელი ხარჯი უდრის 2390 მანეთს. ამაში შედის მოანგარიშის გასამრჯელო 360 მ. და ხაზინადრის 180 მ.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა მოანგარიშის და ხაზინადრის ჯამაგირს. კრებამ ხმის უმეტესობით არ მიიღო გამგეობის პროექტი.

გამგეობის თავმჯდომარემ ესაკიამ განაცხადა ვინაიდან კრებამ გამგეობის პროექტი არ მიიღო, თუმცა ორი წელი მიკლია სამსახურის ვადამდე, მაგრამ უარს ვაცხადებ გამგეობის წევრობაზეო. ამან კრება უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო. კამათის შემდეგ ბ-ნ ს. ორაგველიძის წინადადებით კრება გადაიდვა 16 მარტისთვის.

16 მარტს კრება გაიხსნა იმავე ბ-ნ ხოშტარიას თავმჯდომარეობით და ინსპექტორის ბ-ნ ფომენკოს დასწრებით. განახლდა კამათი იმაზე მოანგარიშესა და ხაზინადარს დაენიშნოს ჯამაგირი თუ არა. თავმჯდომარემ დასვა კენჭის საყრელად ორი წინადადება: ა) დაენიშნოს ჯამაგირი მოანგარიშეს წლიურით 360 მან. მაგიერ 180 მანეთი და ხაზინადარს 180 მანეთის მაგიერ 120 მანეთი და ბ) დაენიშნოს მოანგარიშეს 180 მანეთი და ხაზინადარს მიეცეს ჯილდო წლის ბოლოს მოგების მიხედვითაო. დიდის ხმის უმეტესობით გავიდა უკანასკნელი წინადადება. არჩეულ იქმნენ გამგეობის წევრებად: ნ. ქვანია (იგივე მოანგარიშე) და კ. ხუბუა (იგივე ხაზინადარი), ძველებიდან დარჩა გამგეობაში მხოლოდ თავმჯდომარე მ. ესაკია. საბჭოს ერთი წევრი იყო ასარჩევი და აირჩიეს ერთის მაგიერ შვიდი. ოთხიც ძველი იყო, ეხლა შედგება საბჭო 11 წევრისგან.

სანამ ჩვენი ხელოსანი და სოფლის მეურნე თვითონ არ იქნება კოოპერაციის საქმეში დაინტერესებული ისე, რომ თვით შეძლოს კოოპერატიული დაწესებულების გაძღოლა-პატრონობა და სანამ ესენი ბრმათ ემორჩილებიან რამდენიმე პირების რჩევას—მანამდის ჩვენში კოოპერაციის განვითარება საძნელოა.

ხელოსნებში და სოფლის მეურნეებში აუცილებლად საჭიროა ამ მხრივ შეგნების შეტანა, საჭიროა ხშირი ლექციების და სხვა საშუალებით გავრცელდეს ხალხში კოოპერაციის მნიშვნელობა, მისი მოვლა-პატრონობა და სხ.... ჩვენში კი სულ სხვაფრივ არის საქმე; სესხის კოოპერატივები დღითი დღე მრავლდებიან, ხოლო იმ ელემენტმა, რომელიც შეადგენს კოოპერაციის დედაბოძს ე. ი. სოფლის გლეხმა და ქალაქის ხელოსანმა ჩვენში ჯერ არ იცის კოოპერაციის მნიშვნელობა.

**დამსწრე.**

## მოწოდება

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სახელით კუკიის წმიდა ნინოს უბანში არსებობს **უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო.**

მივმართავთ ყველას, ხალხის თანამგრძნობთ, წიგნების მაღაზიებს, საზოგადო მოღვაწეთ და ვთხოვთ რამე დახმარება აღმოუჩინოს ხსენებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. ყოველი შემოწირულება დიდის მადლობით მიიღება.

შემოწირულება მიიღება ბიბლიოთეკა-სამკითხველოში დილის 10—1 ს. და საღამოს 5—8 ს.

მე-9 საპოლ. ნაწილი, ნორიოს აღმართი სახლი საბაშვილისა, № 11.

**გამგეობა.**

## როშეტ-კაიოს საქმე

**ჟორესის სიტყვა.**

პალატაში ჟორესმა სთქვა: მარცხნივ და მარჯვნივ უკმაყოფილონი არიან, როგორც სჩანს, იმით, რომ გამომძიებელი კომისია არა შუამდგომლობს დამნაშავეთა პასუხის გებაში მიცემას. კომისიის წინადადებას, რომ როშეტის საქმეში მონაწილეებს გამოეცხადოს საყვედური, უბრალო სიტყვებად სთვლიან. მაგრამ ამ საქმეში კომისიას ბრალი არა აქვს. ამაში დამნაშავეა ჩვენი საზოგადოებრივი წყობილება, დამნაშავეა ჩვენი სისხლის სამართლის დებულება. ჩვენს სასამართლო დებულებაში პატარა და უჩინარ ადამიანთა მიერ ჩადენილ ყოველგვარ უმნიშვნელო დანაშაულზე უწყებული სასჯელია აღნიშნული, ხოლო უფლებით აღჭურვილ პირთა საქციელი ამ კანონებით არ ისჯება. ამის გარდა, დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნის პოლიტიკურის მიდრეკილებისამებრ, თქვენა გსურთ ზოგს აპატიოთ, ზოგი კი დასაჯოთ. გამომძიებელი კომისია ამ გზას ვერ დაადგებოდა. თქვენი პოლიტიკური მეგობრებისა და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა საქციელი ერთმანეთში გადაიხლართა... რა სამწუხარო სანახავია, ნამდვილი შექსპირისებური დრამაა! როდესაც ბრალმდებელმა ფაბრმა, მიდასის მსგავსად, თავისი საიდუმლო დაიჩურჩულა,—ეს საიდუმლო რკინის ზანდუკში დაჰკეტეს.

მინისტრები, მაგისტრატურა უმალავდა ხალხს თავის ქვეყანას, თავის პარლამენტს. კვლავ თავი წამოჰყო საიდუმლო საქმემ, რომელიც იცოდნენ მათ, ვისაც გაენდნენ, ისინი კი ამ საბუთს იყენებენ პოლიტიკურ მოპირდაპირეთა წინააღმდეგ საბრძოლველ იარაღად, იყენებენ მართვა-გამგეობის ხელში ჩასაგდებ საშუალებად.

თქვენ ორივენი—მიუბრუნდა ჟორესი ბრიანსა და ბარტუს—იუსტიციის მინისტრებად იყავით, თქვენ ორთავემ იცოდით საიდუმლო ფაბრის მემორანდუმისა, თქვენ იცოდით, რომ კაიომ და მონისმა დანაშაული ჩაიდინეს, როდესაც ფაბრზე გავლენა მოახდინეს. თქვენ სამართალში არ მიეცით დამნაშავენი, დაჰმალეთ საბუთი, მასზე კრინტის დაძვრაც კი აკრძალეთ... მაშასადამე ამ დანაშაულობაში თქვენც წილი გიძევთ. თქვენ მხოლოდ მაშინ დაილაპარაკეთ ამ საქმეზე, როდესაც კალმეტმა გაილაშქრა კაიოს წინააღმდეგ. ეხლა კი, რადგანაც პალატაში მემორანდუმი გამჟღავნდა, ისე სთვლით, თითქოს მოქალაქეობრივი მოვალეობა შეგესრულებინოთ...

პალატამ უნდა მიიღოს გამომძიებელ კომისიის დასკვნა, რათა ქვეყანას თვალი აუხილოს სწორედ ეხლა, პალატის ახალ არჩევნების წინ. დეე ქვეყანამ შეიტყოს, რომ სასამართლო იარებითაა დაწყლულებული, რომ მინისტრები ხელს უწყობდნენ გაიძვერებს, რომ საიდუმლო საბუთი პირადულ ბრძოლის იარაღად გამოიყენეს.

„Haute finance"-ი და „basse finance"-ი დამარხულ ფეოდალიზმზე უსაშინელესია—ისინი ატრიალებენ ჩვენს პოლიტიკურს ცხოვრებას, პოლიტიკურ პარტიებს".

ზოგის აზრით საგანგებო სამართალში უნდა მიეცეს მონისი და კაიო, სხვათა აზრით სამართალში უნდა მიიცეს კაიო, მონისი, ბრიანი, ბარტუ, ფაბრი და ბიდო-დე-ლილის წინადადებანი პალატის უმრავლესობამ (359 ხმით 103 წინააღმდეგ) უარჰყო.

ბოლოს პალატამ ასეთი რეზოლუცია მიიღო:

„პალატამ მხედველობაში მიიღო რა გამომძიებელ კომისიის ფაქტიური დასკვნა, ჰკიცხავს ფინანსების უკანონო ჩარევას პოლიტიკაში, და პოლიტიკის შეტანას სამართლის წარმოებაში; პალატას საჭიროდ სცნობს კანონი გამოიცეს ასეთ საქმეში მონაწილე პარლამენტის მოღვაწეთა წინააღმდეგ; აგრეთვე აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია არსებითად განცალკევდეს აღმასრულებელი და სამოსამართლო მთავრობა, რის შემდეგაც დღიურს წესრიგზე გადადის".

# უცხოეთი

### ალბანეთში და ეპირი.

**ვენა.** დურაცოდან სენსაციური ცნობები მიიღეს: ეპირელების მოქმედების გამო პრინცმა ვიდმ მინისტრთა საბჭო შეჰკრიბა; კრება ნაშუაღამემდე გაგრძელდა. საბჭომ დაადგინა სწრაფ გამოაცხადოს საყოველთაო მობილიზაცია მთელი ალბანეთისა. პრინცი ვიდი ჯარების მთავარ სარდლობას კისრულობს.

**ლონდონი.** ცნობები მოვიდა, 2000 ალბანელისა და ეპირელების დიდი რაზმის შორის ძლიერი შეტაკება მოხდაო.

ალბანელები სრულებით დამარცხდნენ და გაიქცნენ. ბრძოლის ველზე დასტოვეს 500 მოკლულ-დაჭრილნი.

**კორფუ.** სამხრეთ ალბანეთში აუარებელ იარაღსა ჰგზავნიან. იტალიიდან ვალონაში მივიდა ტრანსპორტი 25 სამასი იარაღით და 38 ტყვიის მფრქვეველით. ეს ტრანსპორტი ეპირისკენ გაემართა.

ხმა დადის, ავსტრია და იტალია ალბანელებს ინსტრუქტორ ოფიცრებს უგზავნის.

**ვენა.** ამბობენ ეპირელების მოქმედება ძლიერ გაზვიადებულიაო. ამაში უეჭველია ავსტრიის ოინებსა აქვს ადგილი, რომელსაც ჰსურს სამთა კავშირი აიძულოს, მალე უპასუხონ საბერძნეთის ნოტაო.

მეორე მხრით კი ავსტრიამ დახმარება გაუწია ეპირელებს, რომელნიც წაახქეზა სამოქმედოდ. ამ ოინის მიზანი იყო საბერძნეთისათვის ცუდი მდგომარეობა შეექმნათ და იძულებული ეყოთ სალონიკში ავსტრიისათვის მეტი უპირატესობა მიენიჭებინათ.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

26 მარტი.

## უცხოეთი.

**ვენა.** სიმართლეს მოკლებულია პარიზის ბირჟაზედ გავრცელებული ხმები იმპერატორი ფრანც-იოსების ავადმყოფობისა. იმპერატორი სრულიად ჯანსაღად არის.

**ბომბეი.** ბამბის საწყობების ცეცხლისკიდება მეორდება. მათ ჯარი იცავს. დანიშნეს დიდი ჯილდო, ვინც ცეცხლის წამკიდებელს აღმოაჩენს.

**სტოკჰოლმი.** მეფე თავმჯდომარეობს მინისტრთა საბჭოს, სადაც უნდა დაადგინოს დროებითი მთავრობა, რომლის სათავეშიაც იდგება მემკვიდრე პრინცი.

**კალკუტა.** სტუდენტი როი, რომელსაც პოლიციის ზედამხედველის მოკვლა ბრალდება, სასამართლომ მესამედ გაამართლა. საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ პოლიცია ქრთამებს იღებდა.

**რომი.** სარკინისგზო ეროვნულ ფედერაციის საბჭომ დაადგინა შეეკითხოს ყველა ორგანიზაციებს, რომლებიც ფედერაციაში შედიან, რა გზას დაადგნენ ეხლა, მთავრობის დათმობის შემდეგ.

**კოპენჰაგენი.** პუანკარე რუსეთიდგან კოპენჰაგენს ესტუმრება.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატის სხდომები 1 აპრილამდე გადაიდო. ასკვიტი ხელ-ახლად ისტაფაიაში აირჩიეს საზოგადოებათა პალატის წევრად.

**ჩიკაგო.** დღეს სათემო არჩევნებში ყველა ქალები, ვინც თავისი კანდიდატურა წამოაყენა სამოქალაქო თანამდებობაზედ, ხმის უმეტესობით გაიშავეს. ქალთა ხმების წყალობით ჩიკაგოში 1000-ზე მეტი დუქანი დაიხურა. ასეთვე მოხდა პატარა ქალაქებსა და დაბებშიც.

**პრაგა.** გარდაიცვალა ჩეხიის მწერალი არძესი.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. მორკლმა ჰკითხა, სპარსეთის მთავრობა ჰფიქრობს თუ არა შვედური ჟანდარმერია ჩრდილო სპარსეთშიაც იყოლიოს და ან როგორ შეჰხედავს ამის ბრიტანიის მთავრობა. ოკლენდმა უპასუხა, ამ საკითხს სპარსეთისა, ბრიტანიისა და რუსეთის მთავრობანი არჩევენო.

სუფრაჟისტკა რიჩარდსონი, რომელმაც ველასკეცის სურათი გააფუჭა, გაანთავისუფლეს, რადგანაც შიმშილობა გამოაცხადა.

**ცეუტა.** მონტედერნოს მიდამოებში ცხარე ბრძოლა იყო. ესპანელებს მოუკლეს 41, დაჭრილი მრავალია.

## ფრენა.

**ბერლინი.** სამხედრო მფრინავი რეიტერერი თანმგზავრ ნიუპორტით დრეზდენიდგან იოჰანისტალში გადაფრინდა, 67 წუთში 180 კილომეტრი (ზედმიწევნით 182 ვერსი) გაიარა.

**ლონდონი.** სამხედრო მფრინავი დიუ აეროდრომზედ დაეცა და სასიკვდილოდ დაშავდა.

## რუსეთი.

**პეტერბურგი.** სენატმა უშედეგოდ დასტოვა ბრაზულ-ბრეშკოვსკისას აპელაციო საჩივარი. მას კიევის სასამართლო პალატამ ერთი წლის ციხე მიუსაჯა, რადგან იგი კიევის გამოფენაზე სახალხო ჰიმნის შესრულების დროს ფეხზედ არ ადგა.

იუსტიციის მინისტრმა მინისტრთა საბჭოში შეიტანა კანონ-პროექტი, რომლითაც ადგილობრივი სასამართლოები უნდა გადაკეთდეს შემდეგ გუბერნიებში—ვიტებსკისა, ვილენსკისა, გროდნოსი, კოვნოსი, მინსკისა, მოგილევისა, ბესარაბიისა, ვორონეჟისა, ტამბოვისა, ქალაქებში—პეტერბურგსა, მოსკოვსა, ქვემო-ნოვგოროდსა, ყაზანსა, სარატოვსა და ასტრახანში.

**სევასტოპოლი.** საზღვაო მინისტრი მოვიდა.

**ლიბავა.** დაატუსაღეს სამი უცნობი, რომელთაც უნდა მიეღოთ ლიბავაში მოსული ყუთი, სადაც პროკლამაციები ელაგა.

**პეტერბურგი.** სამხედრო მინისტრი საზღვარ-გარედ გაემგზავრა. გოფმანის ტყავის ქარხანა დაიწვა. ზარალი დიდია.

# თეატრი და ხელოვნება

**ბაქო.** ჩვენი გაზეთის მკითხველებს მოეხსენებათ ალბად, რომ ბაქოში არსებობს ქართული სამხატვრო-სალიტერატურო წრე. ვგონებ ერთი ერთი წელიწადია, რაც ეს წრე დაარსდა. ამ ხნის განმავლობაში სამიოთხი წარმოდგენა-საღამო გამართა. სხვაფრივ ამ წრის საქმიანობაზე ბაქოში ჯერ-ჯერობით არა ისმის-რა.

აი ამ წრემ 22 მარტს, გიორგი წერეთლის გარდაცვალების 15 წლის თავის აღსანიშნავად, ნიკიტინის თეატრში სალიტერატურო საღამო გამართა. მონაწილეობა მიიღეს ტფილისიდან მოწვეულმა ლექტორმა მიხეილ წულუკიძემ, მგოსნებმა ქ-ნმა ბაბილინამ, ბ-ნებმა ქუჩიშვილმა და ჩხიკვაძემ და ტფ. სახალხო სახლის სცენის-მოყვარემ ნ. გოცირიძემ.

ბ-ნი წულუკიძე შეეცადა გიორგი წერეთლის მოღვაწეობის დახასიათებას. გიორგი წერეთელი იყო ბელეტრისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. როგორც ბელეტრისტს ბ-ნი წულუკიძე თითქმის სულ არ შეჰხებია წერეთელს, ხოლო როგორც პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე მკრთალად და ზეზეურად დაახასიათა. გიორგი წერეთელი მესამოცე წლების მოღვაწე იყო და ემსახურებოდა იმას, რასაც სამოციან წლების მოღვაწენი ემსახურებოდნენ რუსეთში და ჩვენში. ხოლო კერძოდ, რა გააკეთა გიორგი წერეთელმა როგორც პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ—ლექციიდან არა სჩანდა, გარდა იმისა, რომ იგი რედაქტორი და თანამშრომელი ყოფილა სხვადასხვა გაზეთისა. ლექტორის სიტყვით, მთელი ღვაწლი და ნაყოფი გიორგი წერეთლის ცხოვრებისა ერთ რამეში გამოიხატა: თუ დღეს პატივსა ვცემთ გიორგი წერეთელს და ვიხსენიებთ მას სახელს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან პირველმა შეამჩნია ეგრედ წოდებულ მესამე დასის გამოსვლა ცხოვრების ასპარეზზე, დაუთმო მას თავისი გაზეთის ფურცლები და სხვა მხრივაც ხელი შეუწყო მის ფეხის ადგმას. ქება-დიდებით მოიხსენია ლექტორმა აგრეთვე თვით მესამე დასის მოღვაწეობაც. ლექტორს თუ დაუჯერებთ, ერთად-ერთი ნაყოფიერი და კულტურული მოვლენა ქართველების ცხოვრებაში ეს მოღვაწეობა იყო და არის დღესაც.

ლექციის შემდეგ სცენის-მოყვარეებმა წარმოადგინეს ერთ-მოქმედებიანი დრამა „მაღაროს მუშა“ დრამამ მკრთალად ჩაიარა.

მესამე განყოფილებაში ახალგაზრდა მგოსნებმა თავიანთი ლექსები წაიკითხეს. დასასრულ ნ. გოცირიძემ მოხდენილად წაიკითხა სცენები ტფილისელ სომეხთა ცხოვრებიდან.

დარბაზმა მხურვალე ტაშის-ცემით დააჯილდოვა როგორც ლექტორი, ისე მგოსნები და განსაკუთრებით ნ. გოცირიძე.

მეორე დღეს, 23 მარტს, სომეხთა კაცთ-მოყვარე საზოგადოების თეატრში, გაიმართა ბენეფისი მსახიობქალის ქეთევან ანდრონიკაშვილისა. დაიდგა „მე მინდა კნეინა გავხდე“ ანტონოვისა „კინტოს“ (აკაკის) მეორე მოქმედება.

ზოგიერთ მოთამაშეს როლების ბეჯითად ცოდნა არ ეტყობოდა. მშვენიერი იყო აწყურელი, როგორც პირველ პიესაში (ვაჭარი მიხას პეტრუზიჩი), ისე მეორეში (გეო). ბევრი აცინა საზოგადოება ქ-ნმა ანდრონიკაშვილმა კნეინობის სურვილით გატაცებულ ბარბარეს როლში.

მობენეფისე მხურვალე ტაშის ცემით მიიღეს და მიართვეს მრავალი ყვავილები და საჩუქარი.

აღდგომის კვირაში ტფილისიდან ბაქოს ეწვევა კავსაძის ხორო. ხორო მართავს ერთ კონცერტს აღდგომის მესამე დღეს, 8 აპრილს, სომეხთა კაცთ-მოყვარე საზოგადოების თეატრში. ბაქოში პირველია ამ ხოროს კონცერტი და, თქმა არ უნდა, ხალხი ბლომად დაესწრება.

### სპარსეთის შაჰის კარის მუსიკოსების კონცერტი.

კონცერტი სახაზინო თეატრში გაიმართა 26 მარტს. ხალხი ძლიერ ბევრი დაესწრო; მაგრამ, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები ცოტა იყო. კონცერტი დამსწრეთ ძლიერ მოეწონათ. აღლაცებაში მოიყვანა ხალხი მომღერალმა **აბულ ახან-ხანის** სიმღერამ. მას ძლიერ მაღალი სასიამოვნო ტენორი აქვს, საოცრად დამუშავებული აქვს კრიმანჭული, აგრეთვე სუნთქვა. მოეწონა ხალხს აგრეთვე მეორე მომღერლის შახიზადეს სიმღერაც. სიმღერები განსაკუთრებით ბაიათურია. ხალხი დიდის ოვაციებით შეეგება მომღერლებს და დიდად ნასიამოვნები დაიშალა.

**გან.**

**ნაძალადევის თეატრი.** დღეს, 28 მარტს ნაძალადევის სცენის-მოყვარეთა მიერ მსახიობთა ქ-ნ ჩხეიძისა და ბ.ბ. გუნიას, კ. ყიფიანის, ნ. გოცირიძის, ალ. შანშიაშვილის და სხვათა მონაწილეობით რეჟისორის სვ. სვიმონიძის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“.

**ხონი.** 23 მარტს ხონის საოსტატო სემინარიის დარბაზში გაიმართა სალიტერატურო საღამო, მოწაფეების მონაწილეობით. საღამოზე მოწვეული იყო ხონის ინტელიგენცია. საღამოს პროგრამა შესდგებოდა ქართული და რუსული ლექსებ-სიმღერებისაგან. საზოგადოება უფრო ნასიამოვნები რჩებოდა ქართულით. კარგი იყო „მგოსანი და მზე“, ვ. რუხაძისა, „სატრფოს“ გ. აბაშიძისა და გურული სცენები, რომელნიც მშვენივრად იქმნა წაკითხული. სიმღერებში მეტად კარგი იყო ხალხური საცეკვაო სიმღერა „ჰადილა“ და უკრაინული სიმღერა „ოი, ხოდილა დივჩინკა ბერეჟკოჲ“. ამ ორ სიმღერას დამსწრე საზოგადოება ცხარე ტაშით მიეგება და კვლავ გაამეორებინა. აღსანიშნავია აგრეთვე სემინარიის კაპელმეისტერის ბ. გაუდუკის მონაწილეობით დაკვრული კვარტეტი (განსაკუთრებით ორი), რომელმაც მსმენელი საზოგადოება გრძნობის სამეფოში გაიტაცა. ნასიამოვნები საზოგადოება დაიშალა ღამის 12 საათზე.

„ფ.“

# შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო, გთხოვთ „სახ გაზ.“ დაგვიბეჭდოთ შემომწირველთა სია ი. ევდოშვილის სასარგებლოდ. ფული გადავეცით თვით ევდოშვილს პირადად.

ა. ძუძულიამ 5 მან.; სამ-სამი მანეთი: ზაქარია ს. თურქიამ, ელიზბარ პ. კაჭარავამ, ალექსი პ. კაჭარავამ ძმათა მაღლაკელიძეებმა, ძმათა შენგელაიებმა, ნიკო ჯანაშიამ, თ-დ ჯოტო შარვაშიძემ, ვლადიმერ თურქიამ, სამუელ ბაბალიხმა, **Н. Тр. Авсій**, დ. ტაბიძე და გ. ხუბუტიამ; ორ-ორი მანეთი: თ-დ ნიკო ყ. თავდგირიძემ, ბ. ა. ჯულელმა, თ-დ პლატონ გელოვანმა, ტიმოთე ინუამ, ქ-ნ ელენე გაბუნიასამ, ძმათა გოგრიჩიძეებმა, დიმიტრი ქამკანიძემ, ბეგლარ თურქიამ, ი. ბ. ადამიამ, შ. ქანტურიამ, ივანე პატარაიამ, ავქსენტი ხადარეიშვილმა, თავად გრიშა დადიანმა, სილიბისტრო ფაჩულიამ, ანესტი მარიეტმა, ნიკო სიქინავამ, კოწია ნიკურაძემ და ის. თურქიამ; ჩაგუ გვასალიამ 1 მ. 50 კაპ.; თითო მანეთი: გახუ პ. თურქიამ, იოსებ ტ. ლოლუამ, ფილიპე ერქომაიშვილმა, ლევან ალშიბაიამ, ივანე ერქომაიშვილმა, ანტონ ნინუამ, აბკაკო მეუნარგიამ, კოწია ჩიქოვანმა, პროვიზორი ჩხეიძემ, ვ. მექაძემ და გაბუნიამ, ვლად. ეძუხვარძამ, №№, არსენ გ. ბურჯულაძემ, ლევან ქარცივაძემ, სამსონ ბარკალაიამ, კნ. აკაკი ჯაიანი, № ათაბეგოვმა, ვ. ა. ასტრავიდომა, პავლე კასანდოპულომ, ალექსანდრე ჯგანჯგავამ, სარდიონ ჯობახიძემ, ძმ. კ. ძაძამიძეებმა, ექვთიმე გაბესკირიანმა, სამსონ გიგინეიშვილმა, გრიგოლ ივ. ბოგუნოვმა, იოსებ სი.ფ. უჩანეიშვილმა, ნესტორ მაღლაკელიძემ, კოწია მგელაძემ, დომენტი ომცელიძემ, გრიშა ჩიტაიამ, ივანე ცეცხლაძემ, ილიკო მოსიძემ; ათ-ათი შაური: ივანე ნიკოლ. მიმინოშვილმა, ს. თევზაიამ, ნიკო ცერცვაძემ, ავქსენტი ი. კინწურეიშვილმა, ილიკო გერსამიამ, **Минковъ**, თავ. ტატაში მარშანიამ, ანტონ ჩხეიძემ; ერთი აბაზი ივანე სპ. და ამის შემდეგ კიდევ დათიკო ტურკიასაგან 3 მანეთი. სულ 109 მან. 70 კაპ.

**შენგელია, მ. მაღლაკელიძე. ს. გიგინეიშვილი, რ. ლოლუა.**

ქართულ სათ.-აზნ. გიმნაზიასთან არსებულ **უფასო სასადილოს გამგე კომიტეტი** დიდ მადლობას უძღვნის ქ-ნ ნინო პლატონის ასულს და ბ-ნ ზურაბ ივანეს ძე გველესიანებს, რომელთაც სასადილოს შემოსწირეს 15 მანეთი.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ პატივცემულ თქვენი „სახალხო გაზეთის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ „თემის“, „ფიქრის“, „კლდის“, „ჯეჯილის“, „ნაკადულის“, „მათრახის“, „ლახტის“ და „კურიერ კავკაზის“ რედაქციებს, რომელთაც უფასოდ დაუთმეს თავიანთი გამოცემა ტფილისის კუკიის წმიდა ნინოს უბნის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს.

**გამგეობა.**

პატივცემულო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენს გაზეთში ამ წერილს ადგილი დაუთმოთ.

„სახ. გაზეთის“ ერთ ნომერში აღნიშნული იყო, საბალო კომისიის ბიუროს კრებაზე მომხდარი ინციდენტი და მისი დაბოლოვება.

ამ შემთხვევის გარჩევა და მასში მონაწილეთა გასამართლება სათვისტომოს გამგეობამ საამხანაგო სასამართლოს მიანდო, რომელმაც განიხილა რა საქმის გარემოება, ყველა ინციდენტში მონაწილე დამნაშავეთ იცნო, დაჰგმო მათი საქციელი და დანაშაულის მიხედვით შემდეგი სასჯელი გადაუწყვიტა:

ა) ეფ. ზ—იას, საბალო კომისიის წევრს, ერთი სემესტრი ვადით პასიური უფლებები ჩამოერთვას. ბ) მ. ი—ელი, გამგეობის წევრი, სათვისტომოდან პირველ აპრილამდე გამოირიცხოს და შემდეგში ერთ სემესტრის განმავლობაში მასაც პასიური უფლებები ჩამოერთვას. გ) ზ. ი—ელი, სათვისტომოდან ერთი სემესტრით გამოირიცხოს.

გამგეობის წევრნი: კლ. **ტყემალაძე**, გრ. **გეგელაშვილი**, დ. **მგელაძე**, კ. **ბარნაბიშვილი**, პ. **ქავთარაძე**.

რედაქტორი ნ. ქურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

ბ ა თ ო მ შ ი
ვ ე ქ ი ლ ი
მიხეილ ნასიძე
სცხოვრობს კარანტინის ქუჩაზედ, სახლი № 105.
მიიღებს სასამართლო საქმეების გამო ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე. 176

ექიმი [illegible] ნინო [illegible]
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., სად. 5—7

ფეხსაცმელების მაღაზია
თომა დ.
ჯანყარაშვილის
მუხრანის ქ. № 2.

მიღებულია სააღდგომოდ დიდძალი ფეხსაცმელები ამხ. პეტერბურგის მექანიკური და ვარშავისა ქალების, ვაჟების და ბავშვების. ფასები ხელმისაწვდომი. აგრეთვე საკუთარი ნაწარმოები. 172

გულის სნეულებანი
გულის ძგერა, გულის სკრულობა, გულის ფრიალი გულის ქოშინი, ნევრასტენია და ნერვიული სნეულებანი, სქესობრივი უძლურება, მოხუცებულობის სიჩაჩანაკე, არაქათის დაკარგვა და სხვა ამხდრე ადვილად რჩება პელას სპერმინით, რასაც ამოწმებენ მწერლობაში არსებული მრავალი დაკვირვებანი მთელი ქვეყნის გამოჩენილ ექიმებისა.
პელას სპერმინი ერთად-ერთი ნამდვილი ნაცადი სპერმინია. ამისათვის ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას სპერმინი პელასი და ხელი აიღოთ ყველა ყალბ მიმართულებაზე, როგორც ყოვლად უვარგის მიბაძულებაზე, რომელნიც არც შემადგენლობით, არც გავლენით პელას სპერმინთან საერთო არა აქვთ რა და ხშირად ჯანმრთელობისათვის მავნებელ შემადგენლობას შეიცავენ.
მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ წიგნი „სპერმინის სამკურნალო გავლენა“. ხოლო ვისაც მთელი ორგანოთერაპია აინტერესებს 4 შვიდ კაპეიკიან მარკის გამოგზავნით ეგზავნებათ ეხლა ხან გამოსული წიგნი „ორგანიზმის სამკურნალო ძალანი“.
სპერმინი პელასი ყველგან იშოვება.
პროფესორი ექიმი პელ-ი შვილებით
პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი
მის იმპერატ. უდიდებულესობის სასახლის მოიჯარადრენი
Метцль и К-о. 8699. 1014.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.
ზ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. [illegible]: 1—2 ს. შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. [illegible]: 10—11 ს. სიფილისი, ქალებისა და ბავშვებისა.
გ. ფ. [illegible]: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. [illegible]: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. [illegible]: 12—1 ს. შინაგანი ავადმყ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. [illegible]: 1—2 ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ გ. [illegible]: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ზედმიწევნით ყოველთვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგეობით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ზ. ა. ნავასარდიანი. 1071

მსოფლიოდ განთქმული
კრემი კაზიმისა
მეტამორფოზა,
ერთად-ერთი მთელი ქვეყნის ქალების მიერ მოწონებული.
უტყუარად არსებითად აქრობს ძიძიგებს, მზის ნამწვს, პირის ლაქას, ჭორფლს, სახის ნაოჭებს და პირისსახის სხვა ნაკლულევანებას.
1133 Метцль. 4416.

ინჟინერი
ი. ს. პონდოევი
რკინის კოჭები,
საქვაბე რკინა,
რკინის საპუთხე,
რკინა სახლის სახურავისათვის.
ტ ფ ი ლ ი ს ი
ელისაბედის ქუჩა, 164, ბაქოს ქ. კუთხე.
ტელეფონი კანტორისა № 123.
ცემენტი
ასფალტი, გუდრონი, ცეცხლში გამძლე აგური და თიხა, ლურსმები, ინჯამები და სხვა საამშენებლო მასალა. 1025
აგური სახლების ასაგებად, საკუთარი აგურხანისა, ვაკეში.

სამშობიარო
თავშესაფარი
თ უ ხ ა რ ე ლ ი ს ა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოლოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

თეზის მრეწველნი
ძმ.
მეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.

მაღაზია
„ექსელანს“-ი
სავ. სახ. ქ. მ. და ა. დ. აკოფჯანოვებისა და ამხ.
ტფილისი, გოლოვინის პროსპ., სახლი მანთაშევისა, საზოგადოების საკრებულოს ქვეშ. ტელეფონი № 6
რადგანაც მივიღეთ დიდ-ძალი შეკერილი რჩეული ტანისამოსი კაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის
აღდგომის მოახლოვებისა გამო დავნიშნეთ
უდიდესი იაფი ვაჭრობა
მეტის-მეტად იაფად. გარდა ამისა მიღებული გვაქვს
დიდ-ძალი რჩეული საქონელი,
რუსეთული და საზღვარ-გარეთული საქონელი, ყოველ-გვარ შეკვეთისათვის, რომელიც გამოცდილ გამჭრელისა მეთვალყურეობით სრულდება.
საშური შეკვეთას 24 საათის განმავლობაში ვასრულებთ. საქონლისა სიიაფეში და აურაცხველ რჩეულ საქონლის ღირსებაში გთხოვთ თვითონ დარწმუნდეთ.
ფ ა ს ე ბ ი შ ე უ ვ ა ჭ რ ე ბ ლ ა დ.

ტფილისი, სტამბა „შრომა“, მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.